

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	13
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	21
5. შემოსავალი	22
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	22
7. სხვა საოპერაციო შემოსავლები	22
8. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯი.....	23
9. ადმინისტრაციული ხარჯი	23
10. სხვა ხარჯები.....	23
11. ცვლილება ანარიცხებსა და საგარანტიო ვალდებულებებში.....	24
12. ფინანსური ხარჯი, წმინდა.....	24
13. მოგების გადასახადის ხარჯი.....	24
14. ძირითადი საშუალებები	25
15. არამატერიალური აქტივები	26
16. ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში.....	26
17. მარაგები.....	27
18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27
19. ფული და ფულის ეკვივალენტები	28
20. მიღებული სესხები	29
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	30
22. საგადასახადო ვალდებულებები	30
23. პირობითი ვალდებულებები	30
24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	31
25. კაპიტალის მართვა	35
26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	35
27. ბალანსის შემდგომი მოვლენები	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ალტას მეწილეებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ალტას ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში კომპანია), რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში შპს ალტაოქეი თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით და შემდგომში მისი ღირებულება კორექტირდება შპს ალტაოქეის წლიური შედეგით, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში ინვესტიციის წილი. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის ღირებულება შეადგენს 3,755,721 და 2,656,870 ლარს, წლების შესაბამისად. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ არ აღრიცხა ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში ბასს 28-ის „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში“ თანახმად. კონკრეტულად კი, არ შეამცირა შემოსავალი და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება „ქვემოდან ზემოთ“ ოპერაციების ეფექტით, ასევე ინვესტიციის ღირებულებიდან არ ამოწვა მისი წილი არარეალიზებული მოგება 436,961 და 479,383 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად. ხელმძღვანელობას ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში ბასს 28 -ის „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში“ თანახმად რომ აღერიცხა 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში წარდგენილი იქნებოდა 2,839,373 და 2,177,483 ლარის ღირებულებით, წლების შესაბამისად, ხოლო შემოსავალი და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის შემცირდებოდა 6,749,783 და 6,312,821 ლარით, შესაბამისად, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის 5,576,252 და 5,096,865 ლარით, შესაბამისად.

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო შემოსავლებში“ წარდგენილი „მომწოდებელისგან მიღებული ფასდაკლებებიდან“ 4,294,468 ლარის ფასდაკლებები მოიცავს ყველა ტიპის, მათ შორის სავაჭრო ფასდათმობებს. ბასს 2-ის „მარაგები“ შესაბამისად მარაგების თვითღირებულება უნდა შემცირდეს სავაჭრო დათმობით, სხვადასხვა სახის ფასდათმობითა და სხვა ანალოგიური ფასდაკლებების ღირებულებით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება, რომ დაგვედგინა ფასდათმობების ტიპები და შესაბამისად დაგვედასტურებინა სხვა საოპერაციო შემოსავლებში აღიარებული ფასდათმობებიდან და ფასდაკლებებიდან რა ნაწილი უნდა შემცირებულიყო შესყიდული მარაგების თვითღირებულება და რა ნაწილი უნდა აღიარებულიყო სხვა საოპერაციო შემოსავლად.

შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება მარაგების, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებისა და სხვა საოპერაციო შემოსავლებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგბსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2018 წელი

შპს ალტა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	5	192,443,471	170,483,566
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(179,188,093)	(152,983,812)
საერთო მოგება		13,255,378	17,499,754
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	9,405,796	3,808,190
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	8	(3,463,424)	(6,766,681)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(4,953,233)	(3,444,390)
სხვა ხარჯები	10	(3,317,497)	(2,161,783)
ცვლილება ანარიცხებსა და საგარანტიო ვალდებულებებში	11	(678,793)	(1,036,652)
საოპერაციო მოგება		10,248,227	7,898,438
ფინანსური ხარჯი, წმინდა	12	(331,049)	(803,704)
მოგება/ (ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		1,230,437	(2,335,491)
მოგების წილი ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციიდან	15	1,098,851	156,867
მოგება დაბეგვრამდე		12,246,466	4,916,110
მოგების გადასახადის ხარჯი	13	-	(607,047)
მთლიანი სრული შემოსავალი		12,246,466	4,309,063

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2018 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კ. ჭოველიძე

ფინანსური განყოფილების
ხელმძღვანელი

ი. ზურაბიანი

შპს ალტა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	14	3,649,985	2,406,424
არამატერიალური აქტივები	15	29,798	22,655
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	16	3,755,721	2,656,870
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,435,504	5,085,949
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	17	30,625,882	19,056,226
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	32,161,999	24,623,360
ფული და ფულის ეკვივალენტები	19	7,155,181	1,477,131
სულ მიმდინარე აქტივები		69,943,062	45,156,717
სულ აქტივები		77,378,566	50,242,666
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		20,000	20,000
გაუნაწილებელი მოგება		28,950,320	19,440,697
სულ საკუთარი კაპიტალი		28,970,320	19,460,697
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	20	-	35,984
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	35,984
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	35,848,169	19,134,457
მიღებული სესხები	20	5,085,838	5,996,733
საგადასახადო ვალდებულებები	22	6,494,432	4,468,418
საგარანტიო ვალდებულებები	11	979,807	1,146,377
სულ მიმდინარე ვალდებულებები		48,408,246	30,745,985
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		77,378,566	50,242,666

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტა

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,000	16,451,634	16,471,634
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,320,000)	(1,320,000)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,309,063	4,309,063
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,000	19,440,697	19,460,697
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,736,843)	(2,736,843)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	12,246,466	12,246,466
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,000	28,950,320	28,970,320

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტა

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		217,967,039	194,631,304
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(174,331,151)	(163,661,499)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(3,049,369)	(3,484,623)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		40,586,519	27,485,182
გადახდილი პროცენტი	20	(425,682)	(384,263)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(446,000)
გადახდილი დღგ		(29,911,493)	(26,731,258)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		(998,354)	(905,553)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული /(გამოყენებული) ფულადი სახსრები, წმინდა		9,250,990	(981,892)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(1,658,425)	(209,414)
მიღებული საპროცენტო შემოსავლები		50,492	187,953
ერთობლივ საწარმოში შეტანილი ფულადი სახსრები		-	(45,000)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები, წმინდა		(1,607,933)	(66,461)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	20	12,051,306	4,024,638
მიღებული სესხების გადახდა	20	(12,744,825)	(6,243,220)
გადახდილი დივიდენდები		(2,666,639)	-
ფინანსური საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები, წმინდა		(3,360,158)	(2,218,582)
წმინდა ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		4,282,899	(3,266,935)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		1,395,151	(128,253)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19	1,477,131	4,872,319
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19	7,155,181	1,477,131

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ალტა (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1998 წელს და საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამომხმარებლო ელექტრონიკით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქციის, აქსესუარებისა და სერვისის ოპტიმალურ კომბინაციას.

კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
თეა კაკაბაძე	52.00%	52.00%
ირაკლი კაკაბაძე	31.32%	31.32%
გრიგოლ ნიკოლაიშვილი	7.39%	7.39%
ლევან ნიკოლაიშვილი	5.35%	5.35%
დავით სოფრომაძე	2.00%	2.00%
ზურაბ ტაბიძე	1.15%	1.15%
კახა ჭოველიძე	0.50%	0.50%
გია ზაზაშვილი	0.29%	0.29%
სულ	100%	100%

2016 წელს შპს ალტამ და შპს ოქეიმ დააფუძნეს ერთობლივი საწარმო შპს ალტაოქეი (50%-იანი ერთობლივი კონტროლის უფლებით). შედეგად, შპს ალტაოქეი ახორციელებს სამომხმარებლო ელექტრონიკით საცალო ვაჭრობას, ხოლო შპს ალტა საბითუმო ვაჭრობას.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქ., №104, ფართი №12

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა. თუმცა ბასს 7-ის შესწორებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ვალდებულებების რეკონსილაციის ახსნა-განმარტებითი შენიშვნის მომზადება პირველად, იხ. შენიშვნა 20.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები
- ფასს 16 - იჯარა

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

ხუთეტაპიანი მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 15-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო

ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარება წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ამჟამად, კომპანია აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ერთობლივი საწარმო

ერთობლივი საწარმო არის ერთობლივი საქმიანობა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლის უფლება საქმიანობაზე, აქვთ უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე.

ერთობლივ საწარმოების აღრიცხვისთვის გამოიყენება კაპიტალ მეთოდი. კაპიტალ-მეთოდის თანახმად, ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შემცენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში.

ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში.

ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციის საბალანსო ღირებულების კორექტირება შეიძლება აუცილებელი გახდეს აგრეთვე ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის კუთვნილი პროპორციული წილის ცვლილების გასათვალისწინებლად, რასაც იწვევს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრული შემოსავლის ცვლილება. ამგვარ ცვლილებებს იწვევს ძირითადი საშუალებების გადაფასება და უცხოურ ვალუტაში მუხლების გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი განსხვავებები. ინვესტორის წილი ამ ცვლილებებში აისახება ინვესტორის სხვა სრულ შემოსავალში.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის აღსარიცხავად იყენებს კაპიტალ მეთოდს, ბასს 28-ის „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ მიხედვით მოეთხოვება, რომ ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილის შესაბამისად ამოწვას შემოსულობა და/ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ინვესტორსა და მის ერთობლივ საწარმოს შორის „ქვემოდან ზემოთ“ ოპერაციების შედეგად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

(ა) სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა და გაცემულ სესხებისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების, გაცემული სესხებისა და ფულისა და ფულის ეკვივალენტების სახით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

(ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

- (ა) რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღირებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- (ბ) რომლებსაც კომპანია განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და
- (გ) რომლებსაც მისადაგება განმარტება - სესხები და მოთხოვნები.

(გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

- (ა) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული, თუ იგი:
 - (i) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;
 - (ii) თავდაპირველი აღირებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან
 - (iii) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).
- (ბ) თავდაპირველი აღირებისას კომპანიის მიერ იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიას ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში შეიძლება:
 - (i) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, კომპანიას უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად, რომელიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:
 - ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთხვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;
 - მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორცაა, მაგალითად, სესხში ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან
 - (ii) როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:
 - იგი მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამოებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამობას“ უწოდებენ), რაც სხვა შემთხვევაში წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივების ჯგუფი იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგენილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და აღნიშნული ჯგუფის შესახებ ამავე საფუძველით მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება კომპანიის ფარგლებში, კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(დ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

- (i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;
- (ii) თავდაპირველი აღიარებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფას 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფას 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, სესხების მე-2 დონით, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღრიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ ცვედება.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7-30
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5 - 12
ავტომობილები	5
სხვა	5 - 10

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და სადისტრიბუციო ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, შეცვლა.

აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შესყიდულია ცალკე, წარდგება თვითღირებულებით შემცირებული ნებისმიერი შემდგომი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით, თუ ასეთი არსებობს.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 6 – 7 წლის მანძილზე.

ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი უნდა გადაისინჯოს ყოველი წლის ბოლოს, სააღრიცხვო შეფასების ცვლილების ეფექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღირიცხება პერსპექტიულად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით (პირველი შემოსავალი - პირველი გასავალი). მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლო გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ეჭვს აღარ იწვევს, მოცემული აქტივის და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება მოხდება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც მოხდა აღნიშნული ცვლილება.

ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია.

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

მაგალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგადაც საწარმოს არა აქვს ამ ვალდებულების დაფარვის გარდა, სხვა რეალური ალტერნატივა.

იურიდიული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება:

- ა) კონტრაქტის (კონტრაქტში მოცემული ან ნაგულისხმევი პირობების);
- ბ) კანონმდებლობის; ან
- გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმია-ნობის შედეგად, როდესაც:

ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით სა-წარმომ სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალ-დებულებებს; და

ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

როდესაც საწარმოს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და ამასთან, სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება, შესაბამისი ანარიცხის თანხა აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. როდესაც ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა დამოკიდებულია მომავალ მოვლენაზე, რომლის მოხდენის ალბათობა განუსაზღვრელია, ან შეუძლებელია საიმედოდ შეფასება, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გაიშიფრება ინფორმაცია პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის უკან დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

საგარანტიო ანარიცხები. კომპანია საგარანტიო ანარიცხებს აღიარებს იმ მომენტში, როდესაც აღიარებს შესაბამის შემოსავალს. კომპანია საგარანტიო ანარიცხებს აფასებს წარსული გამოცდილებისა და იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა მიმდინარე და მომავალში დასაკმაყოფილებელი მოვალეობის შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის რეალიზებული საქონლისთვის.

შეფასების პროცესის თანდაყოლილი განუსაზღვრელობიდან გამომდინარე, ფაქტიური საგარანტიო ხარჯები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ანარიცხის შეფასებული თანხისგან.

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის საგარანტიო ანარიცხი გაანგარიშდება საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის (არარეალიზებული მოგების ამოწმადე) 0.6%-ის ოდენობით. 2017 წელს კომპანიამ შეცვალა შეფასება და საგარანტიო ანარიცხებს ითვლის შემოსავლიდან, რომელშიც არ არის გათვალისწინებული ექსპორტზე გატანილი საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე ექსპორტზე გატანილ საქონელზე კომპანიას არ წარმოექმნება საგარანტიო მომსახურების გაწევის არც იურიდიული და არც კონსტრუქციული ვალდებულება.

საგარანტიო ვალდებულებებზე ანარიცხები შექმნილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და განკუთვნილია საქონლის რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი საგარანტიო ხარჯებისთვის. როგორც წესი, კომპანია რეალიზებულ საქონელზე გარანტიას გასცემს რეალიზაციის შემდეგ 1 წლის პერიოდზე.

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

5. შემოსავალი

შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ტელეფონები და აქსესუარები	98,663,783	78,279,448
ნოუთბუქები, კომპიუტერები და აქსესუარები	39,355,267	48,248,365
ტელევიზორები და აქსესუარები	23,737,107	17,354,566
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	13,249,263	11,344,151
პრინტერები, სკანერები, კოპირები და აქსესუარები	3,970,744	4,066,715
ტაბლეტები	3,775,812	4,227,423
ციფრული კამერები და აქსესუარები	3,295,793	2,796,448
პროექტორები და აქსესუარები	739,787	765,409
სხვა აქსესუარები	1,540,491	839,635
სხვა	4,115,424	2,561,406
სულ	192,443,471	170,483,566

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ტელეფონები და აქსესუარები	(93,890,255)	(71,862,011)
ნოუთბუქები, კომპიუტერები და აქსესუარები	(36,520,919)	(43,514,651)
ტელევიზორები და აქსესუარები	(21,994,615)	(15,497,908)
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	(12,372,029)	(9,837,604)
პრინტერები, სკანერები, კოპირები და აქსესუარები	(3,505,035)	(3,286,407)
ტაბლეტები	(3,448,990)	(3,781,645)
ციფრული კამერები და აქსესუარები	(2,784,464)	(2,418,661)
პროექტორები და აქსესუარები	(645,812)	(635,694)
სხვა აქსესუარები	(1,411,112)	(638,816)
სხვა	(2,614,862)	(1,510,415)
სულ	(179,188,093)	(152,983,812)

7. სხვა საოპერაციო შემოსავლები

სხვა საოპერაციო შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
მომწოდებლისგან მიღებული ფასდაკლებები და კრედიტ-ნოტები*	7,956,930	2,976,102
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	1,407,277	681,750
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	33,014
სხვა საოპერაციო შემოსავალი	41,589	117,324
სულ	9,405,796	3,808,190

(*) - მომწოდებლისგან მიღებული ფასდაკლებები და კრედიტ-ნოტები მოიცავს ყველა ტიპის ფასდაკლებას, მათ შორის ფულად ფასდაკლებებს, სავაჭრო ფასდათმობებს და მარკეტინგული აქტივობის დასაფინანსებლად მომწოდებლისგან მიღებულ კრედიტ-ნოტებს.

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

8. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯი

სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
მარკეტინგისა და პრომოუშენის ხარჯი	(1,195,295)	(1,973,000)
ხელფასები და ბონუსები	(942,447)	(2,132,715)
მიწოდების ხარჯი	(401,618)	-
იჯარის ხარჯი	(324,898)	(1,231,835)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(203,336)	(404,414)
კომუნიკაციის ხარჯი	(76,745)	(236,181)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(37,048)	(373,186)
დაცვის ხარჯი	(22,294)	(102,035)
სხვა	(259,743)	(313,315)
სულ	(3,463,424)	(6,766,681)

9. ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
პერსონალის ხარჯი	(3,897,452)	(2,404,132)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(312,211)	(238,999)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(188,402)	(67,481)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი*	(171,954)	(164,727)
მივლინების ხარჯი	(123,889)	(180,153)
საოფისე ხარჯი	(105,938)	(184,903)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(100,251)	(95,733)
სხვა	(53,136)	(108,262)
სულ	(4,953,233)	(3,444,390)

*კატეგორიაში „საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი“ 155,227 ლარი და 149,064 ლარი წარმოადგენს კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯებს, 2017 და 2016 წლებში, შესაბამისად.

10. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
გაცემული ფასდაკლებები და კრედიტ ნოტები	(2,756,613)	(2,077,412)
უიმედო და საეჭვო ვალების რეზერვის ხარჯი	(559,804)	(27,892)
სხვა	(1,080)	(56,479)
სულ	(3,317,497)	(2,161,783)

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

11. ცვლილება ანარიცხებსა და საგარანტიო ვალდებულებებში

ცვლილება ანარიცხებსა და საგარანტიო ვალდებულებებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
1 იანვარი	1,146,377	1,498,255
გახარჯვა	(845,363)	(1,388,530)
დარიცხვა	678,793	1,036,652
31 დეკემბერი	979,807	1,146,377

12. ფინანსური ხარჯი, წმინდა

ფინანსური ხარჯი, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
საპროცენტო ხარჯი:		
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-	(44,350)
ბანკებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(426,281)	(337,232)
ბანკისგან მიღებულ ოვერდრაფტზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(599)	(1,918)
სხვა ფინანსური ხარჯები:		
საბანკო გარანტიაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(202,760)	(302,869)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის სხვაობა	254,558	(279,399)
ფინანსური შემოსავალი:		
ფინანსური შემოსავალი	44,033	162,064
სულ	(331,049)	(803,704)

13. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016
მიმდინარე გადასახადი	(838,383)
საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ეფექტი გადავადებულ საგადასახადო აქტივზე	231,336
სულ	(607,047)

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

14. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სხვა	სულ
31.12.2015	6,000	3,379,374	407,888	220,090	1,623,382	760,420	6,397,154
შემოსვლა	-	-	82,677	51,420	155,849	58,751	348,697
გასვლა	-	-	(406,386)	(10,108)	(1,007,090)	(518,921)	(1,942,505)
ჩამოწერა	-	-	(63,108)	-	(58,452)	(91,241)	(212,801)
31.12.2016	6,000	3,379,374	21,071	261,402	713,689	209,009	4,590,545
შემოსვლა	-	-	250,596	46,457	1,418,065	64,708	1,779,826
გასვლა	-	-	-	(22,975)	(67,480)	(30,946)	(121,401)
31.12.2017	6,000	3,379,374	271,667	284,884	2,064,274	242,771	6,248,970

დაგროვილი ცვეთა

31.12.2015	-	(1,271,592)	(164,031)	(117,087)	(869,942)	(346,959)	(2,769,611)
ცვეთა	-	(167,673)	(49,214)	(41,267)	(242,476)	(133,824)	(634,454)
გასვლა	-	-	150,137	10,108	557,333	312,553	1,030,131
ჩამოწერა	-	-	63,108	-	55,644	71,061	189,813
31.12.2016	-	(1,439,265)	-	(148,246)	(499,441)	(97,169)	(2,184,121)
ცვეთა	-	(167,673)	(28,116)	(48,893)	(223,518)	(41,991)	(510,191)
გასვლა	-	-	-	22,538	46,670	26,119	95,327
31.12.2017	-	(1,606,938)	(28,116)	(174,601)	(676,289)	(113,041)	(2,598,985)

საბალანსო ღირებულება

31.12.2016	6,000	1,940,109	21,071	113,156	214,248	111,840	2,406,424
31.12.2017	6,000	1,772,436	243,551	110,283	1,387,985	129,730	3,649,985

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი ძირითადი საშუალებები სრულადაა გაცვეთილი, თუმცა, კვლავ გამოიყენება კომპანიის მიერ:

- "სატრანსპორტო საშუალებები" - ჯამური ისტორიული ღირებულებით 33,712 ლარი;

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი ძირითადი საშუალებები სრულადაა გაცვეთილი, თუმცა, კვლავ გამოიყენება კომპანიის მიერ:

- „ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი“ - ჯამური ისტორიული ღირებულებით შესაბამისად 250,239 ლარი და 281,108 ლარი;
- "სხვა" - ჯამური ისტორიული ღირებულებით შესაბამისად 5,955 ლარი და 6,603 ლარი;

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს პროგრედიტ ბანკისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში მდებარე კომპანიის შენობებით, რომელთა საბალანსო ღირებულებებია 1,772,436 ლარი და 1,940,109 ლარი, წლების შესაბამისად (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 20).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია ქალაქ თბილისში მდებარე საოფისე შენობით, რომლის საბალანსო ღირებულებაც 346,150 ლარი. (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 20).

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

15. არამატერიალური აქტივები

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე აღრიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს სააღრიცხვო პროგრამა Oracle JD Edwards, რომელიც სრულად ამორტიზებულია, თუმცა კვლავ გამოიყენება კომპანიის მიერ.

16. ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში

2016 წელს შპს ალტამ შპს ოქეისთან ერთად განახორციელა ინვესტიცია და დააარსა ერთობლივ საწარმო - შპს ალტაოქეი, 50-50%-იანი ერთობლივი კონტროლის უფლებით.

შპს ალტაოქეი ოპერირებს საქართველოში, ელექტრონული და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე. მისი სტრატეგიული მომწოდებლები არიან შპს ალტა და შპს ოქეი.

ერთობლივი საწარმოს შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
მიმდინარე აქტივები	25,567,739	20,208,873
გრძელვადიანი აქტივები	2,640,586	2,286,219
მიმდინარე ვალდებულებები	20,696,891	17,181,359
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
<i>ზემოთ მოცემული თანხები მოიცავს</i>		
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,972,784	3,216,212
მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები (გარდა სავაჭრო ვალდებულებებისა)	503,282	1,777,042
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები (გარდა სავაჭრო ვალდებულებებისა)	-	-
წმინდა აქტივები (100%)	7,511,434	5,313,733
წილი წმინდა აქტივებიდან (50%)	3,755,717	2,656,867
31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის		
შემოსავლები	116,337,344	44,059,667
სრული შემოსავალი (100%)	2,197,701	313,733
კომპანიის წილი სრული შემოსავლიდან (50%)	1,098,851	156,867

შეჯამებული ფინანსური ინფორმაციის რეკონსილაცია ერთობლივ საწარმოში არსებული წილის საბალანსო ღირებულებასთან:

	31.12.2017	31.12.2016
1 იანვარი	2,656,870	2,500,003
მოგების წილი ერთობლივ საწარმოში	1,098,851	156,867
31 დეკემბერი	3,755,721	2,656,870

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

17. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ტელეფონები და აქსესუარები	11,733,255	7,245,817
ნოუტბუქები, კომპიუტერები და აქსესუარები	6,664,206	6,153,819
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	3,500,360	2,126,309
ტელევიზორები და აქსესუარები	3,003,780	1,382,346
ტაბლეტები	657,607	980,000
პრინტერები, სკანერები, კოპირები და მასთან დაკავშირებული	600,512	544,597
სათადარიგო მასალები		
პროექტორები და აქსესუარები	221,422	95,765
ციფრული კამერები და აქსესუარები	186,392	194,347
კომპიუტერული თამაშები	133,489	2,406
როუტერები	28,318	44,980
სხვა აქსესუარები	355,478	183,191
სხვა	418,571	102,649
საქონელი გზაში*	3,122,492	-
სულ	30,625,882	19,056,226

(*) - საქონელი გზაში წარმოადგენს მარაგებს, რომელთა დაკავშირებითაც კომპანიაზე გადმოცემულია ფლობის რისკი და სარგებელი, თუმცა 31 დეკემბრისთვის აღნიშნული მარაგები იმყოფება გზაში.

საქონელი გზაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017
სმარტფონები და აქსესუარები	1,695,912
ტელევიზორები და აქსესუარები	682,187
საოჯახო ტექნიკა	301,651
ვიდეო კამერები და აქსესუარები	224,711
ნოუტბუქები, კომპიუტერები და აქსესუარები	76,975
სხვა	141,056
სულ	3,122,492

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	31,819,265	23,512,080
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(259,220)	-
არაფინანსური მოთხოვნები:		
გაცემული ავანსები	601,629	1,013,750
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული ავანსი	-	93,803
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	325	3,727
სულ	32,161,999	24,623,360

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე	28,708,160	21,030,067
ვადაგადაცილებული, მაგრამ გაუფასურების გარეშე	2,851,885	2,482,013
ვადაგადაცილება 0-30 დღე	1,501,479	499,661
ვადაგადაცილება 31-90 დღე	747,550	118,825
ვადაგადაცილება 91-180 დღე	129,833	382,136
ვადაგადაცილება 181-360 დღე	61,080	480,562
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	411,943	1,000,829
ინდივიდუალურად გასაუფასურებელი	259,220	-
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	259,220	-
ინდივიდუალურად გაუფასურებული მოთხოვნების რეზერვი	(259,220)	-
სულ	31,560,045	23,512,080

*ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნები მოიცავს დაკავშირებულ მხარესთან არსებულ ნაშთს ჯამური ღირებულებით 524,188 ლარი.

ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებში:

1 იანვარი	-
დარიცხვა	(559,804)
გამოყენება	300,584
31 დეკემბერი	(259,220)

ფინანსური მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში.

19. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	31.12.2016
ფული ბანკში დოლარში	2,912,014	156,089
ფული ბანკში ლარში	1,927,508	734,132
ფული ბანკში ევროში	1,654,390	2,813
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	160,036	32,626
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	118	342,800
ფული გზაში*	501,115	208,671
სულ	7,155,181	1,477,131

(*) - ფული გზაში წარმოადგენს თანხას რომელიც გადმორიცხულია, თუმცა 31 დეკემბრისთვის არ არის ასახული კომპანიის ანგარიშზე.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით მოცემულია 24-ე შენიშვნაში.

შპს ალტა**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

20. მიღებული სესხები

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	დასრულების თარიღი	ვალუტა	გრძელვადიანი	
			31.12.2017	31.12.2016
სს პაშა ბანკი	1/30/2018	დოლარი	-	35,984
სულ გრძელვადიანი მიღებული სესხები			-	35,984

	დასრულების თარიღი	ვალუტა	მოკლევადიანი	
			31.12.2017	31.12.2016
სს პროკრედიტ ბანკი	9/28/2018	ლარი	3,540,000	-
სს თიბისი ბანკი	5/21/2018	ლარი	1,545,838	-
სს პროკრედიტ ბანკი	5/2/2017	ლარი	-	1,900,000
სს რესპუბლიკა ბანკი	2/28/2017	ლარი	-	1,546,354
სს პროკრედიტ ბანკი	9/21/2017	დოლარი	-	1,237,194
სს პაშა ბანკი	5/8/2017	დოლარი	-	593,003
სს პაშა ბანკი	1/30/2018	დოლარი	-	378,062
ოვერდრაფტი სს რესპუბლიკა ბანკისგან	5/15/2016	დოლარი	-	258,314
სს პროკრედიტ ბანკი	10/31/2017	ლარი	-	83,806
სულ მოკლევადიანი მიღებული სესხები			5,085,838	5,996,733
სულ მიღებული სესხები			5,085,838	6,032,717

კომპანიის მიღებული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან.

მიღებულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია 7%-დან 9,2%-მდე.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს პროკრედიტ ბანკისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია შენობებით, რომლებიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში (დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-14 შენიშვნაში)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია საოფისე შენობით, რომლებიც მდებარეობს ქალაქ თბილისში (დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-14 შენიშვნაში)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ალტა ფლობდა სს თიბისი ბანკის მიერ გამოშვებულ საბანკო გარანტიებს 688,383 ევროს, 16,073 აშშ დოლარის ექვივალენტის და 47,325 ლარის ოდენობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ალტა ფლობდა სს პროკრედიტ ბანკის მიერ გამოშვებულ საბანკო გარანტიას 500,000 ლარის ოდენობით.

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,032,717
ფულადი ნაკადები:	(1,119,201)
არაფულადი ნაკადები:	
პროცენტის დარიცხვა	426,880
გადაფასება	(254,558)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,085,838

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	31,635,649	17,000,216
გადასახდელი დივიდენდები	1,249,854	1,320,000
პერსონალის მიმართ არსებული ვალდებულებები	1,187,285	388,682
სხვა ვალდებულებები	36,807	15,964
არაფინანსური ვალდებულებები:		
მიღებული ავანსები	1,738,574	409,595
სულ	35,848,169	19,134,457

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 24-ე შენიშვნაში.

22. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადო ბუჯეტის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით, როგორც 6,494,432 ლარი და 4,468,418 ლარი, წლების შესაბამისად.

საგადასახადო ვალდებულების ნაშთის ძირითად ნაწილს წარმოადგენს გადასახდელი დღგ-ს ვალდებულება.

23. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

23. პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

კოვენანტებთან შესაბამისობა

სს თიბისი ბანკისგან მიღებულ საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებით კომპანია ვალდებულია დააკმაყოფილოს შემდეგი კოვენანტები:

- სესხების/გარანტიების მოქმედების პერიოდში მსესხებლის სესხის/გარანტიის მომსახურების კოეფიციენტმა, რომელიც გაიანგარიშება შემდეგნაირად - (EBITDA-კაპიტალური დანახარჯები-მოგების გადასახადი-დივიდენდები)/(გრძელვადიანი მიღებული სესხები + მოკლევადიანი მიღებული სესხები)) შეადგინოს არანაკლებ 1.3-ისა;
- ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში მიაწოდოს ბანკს მონიტორინგისთვის საჭირო ფინანსური ინფორმაცია;
- დამატებითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გაუქმება წარმოშობიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში;
- საბანკო ოპერაციების 35% აწარმოოს სს“თიბისი ბანკში“ გახსნილი ანგარიშების გამოყენებით.

კომპანია აკმაყოფილებს კოვენანტების მოთხოვნებს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია 25-ე შენიშვნაში.

24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,155,181	1,477,131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31,560,045	23,512,080
სულ ფინანსური აქტივები	38,715,226	24,989,211
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34,109,595	18,724,862
მიღებული სესხები	5,085,838	6,032,717
სულ ფინანსური ვალდებულებები	39,195,433	24,757,579

24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმოზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (**საპროცენტო რისკი**) და ვალუტის კურსის (**სავალუტო რისკი**) ცვლილებების შედეგად.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი ფუნქციონალური ვალუტისა. კომპანია წლის განმავლობაში იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის - როდესაც კომპანიის რისკი ითვლება მნიშვნელოვნად, კომპანია შედის აშშ დოლარი/ლარის სპოტ კონტრაქტში ფინანსურ ინსტიტუტებთან.

კომპანიას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ღია ფორვარდული კონტრაქტების რეალური ღირებულების ცვლილების ეფექტი - მოგება-ზარალი, არარსებითობიდან გამომდინარე, არ აღურიცხავს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2017
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,588,659	2,912,132	1,654,390	7,155,181
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29,267,519	2,229,505	63,021	31,560,045
სულ ფინანსური აქტივები	31,856,178	5,141,637	1,717,411	38,715,226
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,869,915	27,081,214	3,158,466	34,109,595
მიღებული სესხები	5,085,838	-	-	5,085,838
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,955,753	27,081,214	3,158,466	39,195,433
ღია სავალუტო პოზიცია	22,900,425	(21,939,577)	(1,441,055)	

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2016
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	975,429	498,889	2,813	1,477,131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,744,916	680,234	86,930	23,512,080
სულ ფინანსური აქტივები	23,720,345	1,179,123	89,743	24,989,211
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,546,558	13,734,631	2,443,673	18,724,862
მიღებული სესხები	3,530,160	2,502,557	-	6,032,717
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,076,718	16,237,188	2,443,673	24,757,579
ღია სავალუტო პოზიცია	17,643,627	(15,058,065)	(2,353,930)	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2017	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	ლარი/დოლარი +20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/(ზარალი)	(4,387,915)	4,387,915	(288,211)	288,211

31.12.2016	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	ლარი/დოლარი +20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/(ზარალი)	(3,011,613)	3,011,613	(470,786)	470,786

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლის გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)	6,995,027	1,101,705
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31,560,045	23,512,080
სულ ფინანსური აქტივები	38,555,072	24,613,785

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	31.12.2017
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	34,109,595	-	-	34,109,595
მიღებული სესხები	5,085,838	-	-	5,085,838
სულ ფინანსური ვალდებულებები	39,195,433	-	-	39,195,433

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	31.12.2016
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	18,724,862	-	-	18,724,862
მიღებული სესხები	5,996,733	35,984		6,032,717
სულ ფინანსური ვალდებულებები	24,721,595	35,984	-	24,757,579

25. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

კომპანიას აქვს კოვენანტები, რომელთა დაკმაყოფილება ევალება სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების ხელშეკრულების მიხედვით. კოვენანტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია 23-ე შენიშვნაში. კომპანია აკმაყოფილებს კოვენანტების მოთხოვნებს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმო, ან მისი სათავო საწარმო, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარე	2017	2016
შემოსავალი		77,138,561	38,915,681
შპს ალტაოქეი	ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	75,966,684	38,915,681
შპს ოქეი	სხვა*	1,048,317	-
შპს სერვის პლაზა	სხვა*	73,774	-
ზურაბ ტაბიძე	დამფუძნებელი	17,180	-
ლევან ნიკოლაიშვილი	დამფუძნებელი	14,621	-
გრიგოლ ნიკოლაიშვილი	დამფუძნებელი	10,272	-
კახა ჭოველიძე	დამფუძნებელი	4,845	-
ირაკლი კაკაბაძე	დამფუძნებელი	2,564	-
გია ზაზაშვილი	დამფუძნებელი	304	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი:		1,289,732	1,505,621
შპს ალტაოქეი	ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	1,289,732	1,505,621
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები:	ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	-	(90,415)
შპს ოქეი	სხვა*	-	(42,215)
შპს სერვის პლაზა	სხვა*	-	(48,200)
ადმინისტრაციული ხარჯები:		-	(4,185)
შპს სერვის პლაზა	სხვა*	-	(4,185)
სხვა ხარჯები:		(1,715,304)	(990,399)
შპს ალტაოქეი	ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	(1,715,304)	(13,359)
შპს ოქეი	სხვა*	-	(965,599)
შპს სერვის პლაზა	სხვა*	-	(11,441)
ცვლილებები ანარიცხებსა და საგარანტიო ვალდებულებებში		424,676	(626,787)
შპს სერვის პლაზა	სხვა*	424,676	(626,787)
ფინანსური ხარჯები, ნეტო		-	(42,133)
ლევან ნიკოლაიშვილი	დამფუძნებელი	-	(1,463)
ზურაბ ტაბიძე	დამფუძნებელი	-	(311)
ირაკლი კაკაბაძე	დამფუძნებელი	-	(37,685)
გრიგოლ ნიკოლაიშვილი	დამფუძნებელი	-	(2,037)
დავით სოფრომაძე	დამფუძნებელი	-	(557)
გია ზაზაშვილი	დამფუძნებელი	-	(80)

(*) - წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიას.

შპს ალტა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

დაკავშირებული მხარე		31.12.2017	31.12.2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		15,335,626	12,814,545
შპს სერვის პლაზა	სხვა*	524,636	434,749
შპს ალტეოქეი	ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	14,791,492	12,203,749
ლევან ნიკოლაიშვილი	დამფუძნებელი	2,723	-
ზურაბ ტაბიძე	დამფუძნებელი	13,996	-
ირაკლი კაკაბაძე	დამფუძნებელი	2,779	-
შპს ოქეი	სხვა*	-	176,047
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		77,355	-
შპს ოქეი	სხვა*	77,355	-

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან შპს ალტაოქეისგან შეისყიდა 4,996 ლარის ღირებულების მარაგი, ხოლო 2016 წლის განმავლობაში - 575 ლარის ღირებულების მარაგი.

(*) - წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიას.

	2017	2016
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურება	(1,705,119)	(1,159,915)

27. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 9 მარტს კომპანიამ შეისყიდა შპს მეტრომარტის 50%-იანი წილი.

2018 წლის 16 აპრილს კომპანიამ დაარსა შპს აისფეისი, რომელშიც შპს ალტას წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრა 100%-ის ოდენობით. 2018 წლის 22 ივნისს კომპანიამ გასხვისა შპს აისფეისში ფლობილი 100%-იანი წილიდან 40% კომპანიაზე ASBISC Enterprises PLC. 2018 წლის 17 ივლისს დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით შპს აისფეისს შეეცვალა სახელწოდება და განისაზღვრა, როგორც შპს ეიესბისი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა Apple-ს ბრენდის პროდუქციის საცალო რეალიზაცია, მათ შორის: Mac, iPad, iPhone.

2018 წლის 17 ივლისს კომპანიამ დაარსა შპს ალტაპრინტი, რომელშიც შპს ალტას წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრა 100%-ით.

2018 წლის 26 აპრილს კომპანიამ დაარსა შპს ტექპოინტი, რომელშიც შპს ალტას წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრა 100%-ით. კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ელექტრო საქონლისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის საცალო ვაჭრობა და ტექნიკასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა.